კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №10
2013 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

,,საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის №3 ბრძანებით (ვებგვერდი, 24/01/2013) დამტკიცებულ ,,საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესსა და პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულება დადოს სისტემაში რეგისტრირებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს გამარჯვებულ მიმწოდებელს საბეჭდი ქაღალდის მიწოდების მოთხოვნით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს **ტატო ურჯუმელაშვილი**
თავმჯდომარე